



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 10 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №137/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 1 აგვისტოს №137 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 2 აგვისტოს №358/137-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 1 ნოემბერს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

1.1. საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ 2019 წლის 8 აპრილს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ საქმის განხილვისას დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, სხდომები წარმართა და კითხვებს სვავდა იმგვარად, რომ მოეპოვებინა ისეთი ინფორმაცია რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მოწინააღმდეგე მხარისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ გამოიჩინა აშკარა მიკერძოება, რაც გამოიხატა ყოფილი მოსამართლის --- მიმართ კოლეგიურ მხარდაჭერაში, რომელიც არის საქმეში მონაწილე მხარის --- მმისშვილი.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2016 წლის 9 სექტემბერს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- თავმჯდომარე --- და --- მიმართ კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2016 წლის 16 სექტემბერს მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს. 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით --- წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე - -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

2016 წლის 3 ოქტომბერს მოპასუხებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი. 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 22 თებერვალს. სასამართლო სხდომები გაიმართა 22.02.2017; 17.05.2017; 03.07.2017; 31.07.2017; 23.10.2017; 20.11.2017 წწ პერიოდებში.

2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა -- -- 2016 წლის 9 აპრილის №- კრების ოქმი, რომლის საფუძველზეც -- -- საკუთრებაში აღირიცხა უძრავი ნივთი.

2.2. 2018 წლის 4 იანვარს -- -- და -- -- თავმჯდომარემ -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 იანვრის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდათ ხარვეზი. 2018 წლის 19 თებერვალს აპელანტების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე. 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით აპელანტებს გაუგრძელდათ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა. 2018 წლის 22 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2018 წლის 16 ოქტომბერს.

2018 წლის 17 სექტემბერს სააპელაციო შესაგებელი წარადგინა მოწინააღმდეგე მხარემ. სასამართლო სხდომები გაიმართა 16.10.2018; 20.11.2018; 05.02.2019; 12.03.2019; 02.04.2019; 08.04.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; მოცემულ საქმეზე გაუქმდა -- -- სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.3. 2019 წლის 12 ივნისს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2019 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 ივლისის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 1 ნოემბრის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ამავე კოდექსის 222-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლეს, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს საქმეს, კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარესა და მის ნებისმიერ წევრს უფლება აქვთ მხარეებს მისცენ შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული დაგაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

ამდენად, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სასამართლო პროცესის მართვა, შეკითხვების დასმა და სამართლებრივი განმარტებების გაკეთება მოსამართლის უფლებაა. განჩინებების და გადაწყვეტილების მიღება ხდება მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, ხოლო მისი შეფასება და კანონიერებაზე მსჯელობა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი

უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 1 ნოემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- 2019 წლის 1 აგვისტოს №137 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდეს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**